სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების წესი

სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების წესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის N85 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-იუსტიციის სახლის დებულების", „სსიპ-იუსტიციის სახლის შინაგანაწესის" და სსიპ-იუსტიციის სახლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 1. მოქმედების სფერო

სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს სსიპ - იუსტიციის სახლის (შემდგომში - იუსტიციის სახლი) ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემისა და გადაცემული უფლების საფუძველზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბილეთები - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილი ბილეთები;

ბ) სარეკლამო ინფორმაციის განთავსება - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილი ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის დატანა;

გ) უფლების გადაცემა - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილი ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გარკვეული ვადით გადაცემა;

დ) ელექტრონული აუქციონი - სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის (www.eauction.ge) საშუალებით ონლაინ რეჟიმში განხორციელებული ვაჭრობა;

ე) ხელშეკრულება - იუსტიციის სახლსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს შორის იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემის ხელშეკრულება.

მუხლი 3. სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემა

1. იუსტიციის სახლში ბილეთებზე უფლების გადაცემა განხორციელდება ელექტრონული აუქციონის შედეგების საფუძველზე. უფლების სხვაგვარი წესით გადაცემა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული წესით და ფორმით, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. ელექტრონული აუქციონის მიზანს წარმოადგენს ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლება გადაეცეს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას დააკმაყოფილოს გამოცხადებული აუქციონის პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ელექტრონული ვაჭრობის პროცესში იუსტიციის სახლს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

3. იუსტიციის სახლის მიერ გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მიმღები შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირი (მათ შორის ფიზიკური პირი, კერძო სამართლის იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება და სხვა).

4. უფლების გადაცემის საწყისი საფასურის დადგენა განხორციელდება დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც იუსტიციის სახლის მიერ განხორციელდება წინამდებარე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საფასურის მიხედვით აუქციონზე (შემდგომში - პირველადი აუქციონი) გატანილი უფლების გადაცემა, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ახალი აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში, იუსტიციის სახლი უფლებამოსილია უფლების გადაცემის საწყისი საფასურის განსაზღვრისას განახორციელოს, პირველადი აუქციონის საფუძველზე გადაცემული უფლების საფასურის 10%-ით შემცირება.
6. უფლების გადაცემის საფასურის გადახდა განხორციელდება წინასწარ, ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 4. ელექტრონული აუქციონი

1. იუსტიციის სახლში ელექტრონული აუქციონის გამოცხადება განხორციელდება აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელშიც ფიქსირდება უფლების გადაცემის საწყისი საფასური, სავაჭრო ბიჯის ოდენობა, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო, უფლების გადაცემის ვადა და სხვა პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსება განხორციელდება სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge), რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება.
3. ელექტრონული აუქციონის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, კონკურენციის გაზრდის და მონაწილეობით დაინტერესების სტიმულირების მიზნით, იუსტიციის სახლი უფლებამოსილია განახორციელოს აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით (ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის, ელექტრონული ფოსტის და სხვა).
4. ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო არ უნდა იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები და 20 კალენდარულ დღეზე მეტი.
5. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედების ვადა 10 დღით უნდა აღემატებოდეს სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლების გადაცემის ვადას.
6. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები და აუქციონის ჩატარების წესი რეგულირდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების (შემდგომში - მინისტრის ბრძანება) შესაბამისად, თუ წინამდებარე წესით ან/და იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული რეგულაცია არ არის დადგენილი.
7. იმ შემთხვევაში თუ არ განხორციელდა ელექტრონულ აუქციონზე გატანილი უფლების გადაცემა, განმეორებით აუქციონზე უფლების გადაცემის საწყისი საფასური შესაძლებელია შემცირდეს 50%-მდე, ხოლო თუ აღნიშნული უფლების გადაცემა განმეორებით აუქციონზეც არ განხორციელდა საფასური შესაძლებელია კიდევ შემცირდეს.
8. ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად, ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

მუხლი 5 . აუქციონის დასრულების შედეგი

1. აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, აუქციონში გამარჯვებულ პირთან განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი განისაზღვრება იუსტიციის სახლის მიერ.
2. აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნდებათ აუქციონის დასრულების შემდეგ.
3. ელექტრონული აუქციონის შედეგები გაუქმდება და გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად ჩაირიცხება

იუსტიციის სახლის ანგარიშზე თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე ან გამარჯვებულის მიერ დარღვეულ იქნა მინისტრის ბრძანებით, წინამდებარე წესით ან/და იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობები.

მუხლი 6. ხელშეკრულების პირობები

ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ პირობებს:

ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

ბ) უფლების გადაცემის საფასურს და აღნიშნული საფასურის გადახდის წესსა და პირობებს;

გ) მხარეთა შორის კომუნიკაციის წესსა და პირობებს;

დ) წინამდებარე წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული სარეკლამო ინფორმაციის შეთანხმების პროცედურას;

ე) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;

ვ) ხელშეკრულების შეწყვეტის წესსა და პირობებს.

მუხლი 7. სარეკლამო ინფორმაციის შეზღუდვა

1. იუსტიციის სახლის ფილიალებში ბილეთებზე არ შეიძლება განთავსებულ იქნეს შემდეგი სახის სარეკლამო ინფორმაცია:

ა) დისკრიმინაციული ხასიათის მასალა;

ბ) სიძულვილისკენ ან/და ძალადობისკენ მომწოდებელი მასალა;

გ) შეურაცხმყოფელი ან/და უცენზურო მასალა;

დ) სიძულვილის გამომხატველი მესიჯები, რომელიც შეურაცხყოფს ან ემუქრება ჯგუფებს, მათი რასის, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნული წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა თვისებებზე დაყრდნობით;

ე) ნებისმიერი საჯარო დაწესებულებების საჯარო ან/და ლეგიტიმურ მიზნებთან შეუთავსებელი მასალა;

ვ) პოლიტიკური პარტიების პროპაგანდა ან/და ანტიპროპაგანდა;

ზ) რელიგიის, ათეიზმის, სექტების პროპაგანდა ან/და ანტიპროპაგანდა (ნებისმიერი);

თ) სიგარეტის და ალკოჰოლის პროპაგანდა (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით);

ი) აზარტული თამაშების პროპაგანდა;

კ) პორნოგრაფია ან/და სიშიშვლე;

ლ) უკანონო ნივთიერებების პროპაგანდა;

მ) საჯარო შეკრებებისკენ მოწოდება;

ნ) ომისა ან/და ტერორიზმის პროპაგანდა;

ო) ნებისმიერი შინაარსის ინფორმაცია, რომელიც ემუქრება საქართველოს უსაფრთხოებას (ანტიპატრიოტული შინაარსი);

პ) აგრესიის და იარაღის პროპაგანდა;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე აკრძალული რეკლამა;

რ) პირდაპირი ან არაპირდაპირი შეტყობინებები საქართველოს ოკუპაციის სასარგებლოდ.

მუხლი 8. სარეკლამო ინფორმაციის შეთანხმება

1. ბილეთებზე ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფორმაციის განთავსება ხორციელდება იუსტიციის სახლთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

2. აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ბილეთებზე განსათავსებელი სარეკლამო ინფორმაცია (სარეკლამო ინფორმაციის დამკვეთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სარეკლამო ინფორმაციის ზუსტი ნიმუში (გრაფიკული), შინაარსი, ტექსტი, ვიზუალი და ა.შ.) წინასწარ, წერილობითი სახით (გარდა იმ

შემთხვევისა, როცა ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმების სხვა ფორმა არის განსაზღვრული) შეუთანხმოს იუსტიციის სახლს.
3. იუსტიციის სახლი აუქციონში გამარჯვებული პირის მხრიდან წერილობითი ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ახორციელებს განსათავსებელი სარეკლამო ინფორმაციის შეთანხმებას ან უარს აცხადებს შეთანხმებაზე. იმ შემთხვევაში თუ 5 დღის ვადაში იუსტიციის სახლის მიერ არ იქნება წერილობით დადასტურებული წარმოდგენილი სარეკლამო ინფორმაციის შეთანხმება, აღნიშნული ჩაითვლება უარად სარეკლამო ინფორმაციის განთავსებაზე.
4. სარეკლამო ინფორმაციის შეთანხმებისათვის, იუსტიციის სახლი უფლებამოსილია აუქციონში გამარჯვებულ პირს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გარდა, დამატებით მოსთხოვოს სხვა ინფორმაციის წარმოდგენა.
5. იუსტიციის სახლს არ ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს სარეკლამო ინფორმაციის შეთანხმებაზე უარის თქმის მიზეზი ან/და საფუძველი.

მუხლი 9. დამატებითი რეგულაციები

1. ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების შემდგომ, იუსტიციის სახლი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს განთავსებული სარეკლამო ინფორმაციის შეწყვეტა და მოსთხოვოს აუქციონში გამარჯვებულ პირს ბილეთებზე სხვა სარეკლამო ინფორმაციის განთავსება. აღნიშნულ საფუძვლით სარეკლამო ინფორმაციის შეწყვეტის შემთხვევაში იუსტიციის სახლს არ დაეკისრება რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება აუქციონში გამარჯვებული პირის სასარგებლოდ.
2. იუსტიციის სახლი უფლებამოსილია, აუქციონში გამარჯვებული პირისათვის წინასწარ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ბილეთებზე საკუთარი ინფორმაციის განთავსების მიზნით, აუქციონში გამარჯვებულ პირს არაუმეტეს 6 (ექვსი) დღის ვადით (აღნიშნული დღეები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ცალ-ცალკე ასევე მიყოლებით) შეუწყვიტოს სარეკლამო ინფორმაციის განთავსების უფლება.
3. სარეკლამო ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება აუქციონში გამარჯვებულ პირს. თუ აღნიშნული პრეტენზიის შედეგად რაიმე სახის ზიანი მიადგება იუსტიციის სახლს, აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებული იქნება სრულად უზრუნველყოს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება.
4. იუსტიციის სახლის ფილიალებში რიგის მართვის სისტემის გათიშვის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული პერიოდის განმავლობაში უფლების გადაცემის საფასურის გადახდისგან გათავისუფლება, თუ რიგის მართვის სისტემის გათიშვის ვადა დღის განმავლობაში აღემატება 2 (ორი) საათს.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებული რიგის მართვის სისტემიდან ამობეჭდილ ბილეთებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსების წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ამ წესში განხორციელებული ცვლილებების/დამატებების მოქმედება გავრცელდება მხოლოდ აუქციონში გამარჯვებულ იმ პირზე, რომელთანაც ხელშეკრულების დადების დროისათვის იარსებებს ასეთი ცვლილება/დამატება.
3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებული წესი შესაძლებელია დადგინდეს იმ შემთხვევაში, თუ წესში განხორცილებული ცვლილებების/დამატებების საფუძველზე დადგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა.